სამაგისტრო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირება

პროგრამის კოორდინატორი: სრული პროფესორი ირაკლი კოვზანაძე

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები:
სრული პროფესორი ირაკლი კოვზანაძე
სრული პროფესორი ელენე ხარაბაძე
სრული პროფესორი თემურ შენგელია
სრული პროფესორი ნუგზარ თოდუა
სრული პროფესორი მაია მარგველაშვილი
ასოცირებული პროფესორი ენვერ ლაგვილავა
ასოცირებული პროფესორი დავით ნარმანია

თბილისი

2012

I. **პროგრამის სახელწოდება:** ბიზნესის ადმინისტრირება

Business Administration

II. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

Master of Business Administration

III. **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 ECTS კრედიტი, მათ შორის: პროგრამისთვის სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი, მოდულისთვის სავალდებულო კურსები - 35 კრედიტი, არჩევითი კურსები - 15 კრედიტი (თითოეული მოდულისთვის), კვლევითი ნაშრომი (სამაგისტრო ნაშრომის ნაწილი) – 10 კრედიტი, პროფესიული პრაქტიკა - 10 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი - 20 კრედიტი

IV. **სწავლების ენა:** ქართული ენა

V. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეესაბამება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სამეცნიერო კვლევების განვითარებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამით სპეციალისტთა მომზადების აქტუალურობას განაპირობებს საქართველოში საბაზრო ურთიერთობების ფორმირების შეუქცევადი ხასიათი და მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრაციის აუცილებლობა, რაც მეწარმეობისა და ბიზნესის სფეროში მრავალი ადამიანის დასაქმებას იწვევს. შესაბამისად, იზრდება ბიზნესის სფეროსათვის კვალიფიციური მენეჯერების მომზადების მოთხოვნა.

ბიზნესის ადმინისტრირების საამგისტრო პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ: ა) ბიზნეს-ორგანიზაციების სტრატეგიების დაგეგმვის, ეფექტიანი მართვის, ორგანიზაციული დაპროექტების და სტრუქტურის განვითარების საკვანძო საკითხების ცოდნა და უნარ-ჩვევები; ბ) საბანკო საქმის, ფულად-საკრედიტო სისტემის, საჯარო და კორპორაციის ფინანსების თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები; გ) ფინანსური აღრიცხვა-ანალიზისა და აუდიტის ღრმა თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები; დ) საერთაშორისო ვაჭრობის, საერთაშორისო ბიზნესის მართვისა და რეგულირების, საერთაშორისო მენეჯმენტის, საერთაშორისო კონკურენციის მართვის თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები; ე) ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოში მარკეტინგული სამსახურის ორგანიზებისა და წარმართვის უნარი; ვ) ბიზნესის მართვის სხვადასხვა დონეზე არსებული საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების ტოპ-მენეჯერის ფუქციებისა და

გადასაწყვეტი ამოცანების შესახებ ცოდნა და უნარ-ჩვევები; ზ) ბიზნესის სფეროში სამეცნიერო კვლევების დაგეგმვისა და დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია ბიზნესის ფუნქციების და გარემოს შესწავლაზე. პროგრამა იძლევა ბიზნესის სხვადასხვა სფეროში დასაქმებისა და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბე-ბისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების შესაძლებლობას.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებზე დიდი მოთხოვნაა საქართველოს შრომის ბაზარზე. მისი შემუშავებისას გათვალისწინებულია პოტენციურ დამსაქმებლების რეკომენდაციები და ბიზნეს–გარემოში მიმდინარე ცვლილებებისადმი ადაპტირების შესაძლებლობები. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს დასაქმების ფართო პერსპექტივა, სადაც მოითხოვება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაცია და კომპეტენციები. ამასთან, აქვს შესაძლებლობა გააგრძელოს სწავლა სადოქტორო პროგრამაზე.

VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ნებისმიერი სპეციალობით;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა ჩააბაროს ერთიანი სამაგისტრო გამოცდა და სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდა საგანში ,,ეკონომიკის პრინციპები“;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდის ჩატარების წესები განსაზღვრულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ.

VI. სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებში მოცემულია ინფორმაცია კურსდამთავრებულის კომპეტენციების შესახებ, რომლებიც აღწერილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს გათვალისწინებით.

1. ცოდნა და გაცნობიერება

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. კერძოდ, კურსდამთავრებულს ეცოდინება:

1.1. მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები; ორგანიზაციის მართვის მეთოდები და პრინციპები; ორგანიზაციის მართვის თანამედროვე მიდგომები; სიტუაციის შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების ტაქტიკა; მენეჯმენტის ცალკეული ფუნქციების რეალიზაციის ინსტრუმენტები;

1.2. ფირმის მართვის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, რაც წინ უძღვის მარკეტინგული სტრატეგიების ჩამოყალიბებას; ძირითადი ტენდენციებისა და ძალების აღწერა, რომლებიც ურთიერთობათა ახალ ეპოქაში მარკეტინგულ პეიზაჟს ცვლიან; კულტურული, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი, ბუნებრივი და ტექნოლოგიური ფაქტორების გამოკვეთა და ორგანიზაციის საქმიანობაზე მათი ზეგავლენის გაცნობიერება; მყიდველზე ორიენტირებული მარკეტინგული სტრატეგიის ჩამოყალიბება მყიდველთა კაპიტალის შექმნისა და მისი შემდგომი ზრდის გათვალისწინებით;

1.3. ფინანსური მენეჯმენტის თანამედროვე თეორია ფინანსური ინსტრუმენტების განსაზღვრისას და ასევე ფინანსურ რესურსების მოზიდვის მეთოდების შერჩევის დროს; კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების შედგენა და ანალიზის განხორციელების მეთოდები, ასევე ფინანსური განვითარების პროგნოზი; ფინანსური გადაწყვეტილებების რისკების, შემოსავლიანობის და ეფექტურობის შეფასება, მათ შორის გრძელვადიანი დაფინანსების სტრატეგიის განსაზღვრა; მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხასიათის ფინანსური გადაწყვეტილებების მომზადება; კაპიტალის მართვის და სადივიდენდო პოლიტიკის გამომუშავება;

1.4. ინფორმაციული რესურსების მართვაში ორგანიზაციის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები; მმართველობითი საქმიანობის ინფორმაციული უზრუნველყოფის სხვადასხვა ვარიანტების ეფექტიანობის შეფასება; ინფორმაციული უზრუნველყოფის სფეროში ორგანიზაციაში კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნის, შერჩევისა და სწავლების პოლიტიკის განსაზღვრა; ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზარზე ორგანიზაციისათვის საჭირო პროგრამული და ტექნიკური საშუალებების შერჩევა; ინფორმაციული რესურსების კომპლექსური დაცვის საკითხები;

1.5. მმართველობითი აღრიცხვის მეთოდიკისა და მეთოდოლოგიის საკითხები; დანახარჯების აღრიცხვის ხერხების თავისებურებები; მმართველობითი აღრიცხვის კონკრეტული პრობლემების გადაჭრის გზები; მართვის ალტერნატიული ვარიანტები, ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა;

1.6. კავშირი გლობალიზაციასა და საერთაშორისო ბიზნეს შორის; მათი დადებითი და უარყოფითი ტენდენციები მსოფლიოში; ერებს შორის ეკონომიკური, სამართლებრივი, კულტურული, სოციალური დიფერენციაციის ზეგავლენა გლობალურ ბიზნესზე; რელიგიისა და კულტურის ზეგავლენა გლობალურ ბიზნესზე; გლობალური ბიზნესის ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის საკითხები; გლობალური ვაჭრობის ეკონომიკური პოლიტიკა; რეგიონული ინტეგრაციის ზეგავლენა გლობალურ ბიზნესზე; უცხოურ ბაზარზე შესვლის სტრატეგიები; ადამიანურ რესურსების მენეჯმენტი გლობალურ ბიზნესში; გლობალური ბიზნესის სისტემის ჩამოყალიბების კანონზომიერებანი; საქმიან ურთიერთობათა სამართლებრივი ფორმები გლობალურ ბიზნესში; მარკეტინგისა და მენეჯმენტის როლი გლობალურ ბიზნესში; საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესები; საფინანსო ინსტიტუტების როლი გლობალურ ბიზნესში; გლობალური ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის

ფილოსოფიური საფუძვლები; გლობალური ბიზნესის დაწყების ორგანიზაცია; საგარეო ბაზრებზე შესვლის სტრატეგიები; გლობალური წარმოების პროცესი, წარმოების საწარმო და ოპერატიული მართვა; გლობალური ბიზნესის მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვის პროცესი; სახელმწიფოს როლი გლობალური ბიზნესის რეგულირებაში.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ:

2.1. ამოცანების სწორად დასმა და მმართველობითი ინსტრუმენტების გამოყენებით ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება; ორგანიზაციული სისტემის რაციონალური დაპროექტების მეთოდების შერჩევა; ორგანიზაციული ცვლილებებისა და განვითარების მართვა; მაღალეთიკური ხელმძღვანელობის სტილის შერჩევა და მენეჯერული უნარების გამოვლენა კორპორატიული კულტურის ფარგლებში; წამყვანი მენეჯერების საერთაშორისო გამოცდილებისა და გლობალური მენეჯმენტის თანამედროვე მიღწევების გამოყენება;

2.2. კომპანიის მართვისათვის მარკეტინგული კონცეფციების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენება; მიზნობრივი ბაზრების შერჩევა და თითოეული ბაზრისათვის შესაბამისი მარკეტინგის კომპლექსის დაკავშირება; მარკეტინგული საქმიანობის (სტრატეგიის) ეფექტიანობის შეფასება თითოეული პროდუქტისა და ბაზრის დონეზე;

2.3. უახლესი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებით ძირითად, საფინანსო და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება;

2.4. საინფორმაციო სისტემის მენეჯმენტის ამოცანების კლასიფიცირება და სამართავი ობიექტისთვის ინფორმატიზაციის სფეროში კადრების შერჩევა; საწარმოსთვის საჭირო ინფორმაციული რესურსების ოპერატიული და სტრატგიული მართვის გეგმების მომზადება; ინფორმაციული რესურსების უსაფრთხოების ღონისძიებების შერჩვა; საინფორმაციო სისტემების შექმნის, დანერგვისა და ექსპლოატაციის ხარჯების კლასიფიცირება; ინფორმატიზაციის სფეროში ინოვაციური პროექტების განხორციელება და დემონსტრირება;

2.5. დანახარჯების აღრიცხვისა და კონტროლის კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი გზების ძიება; წარმოების სხვადასხვა ტიპის პირობებში პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის (ანგარიშის) შედგენა; გაუთვალისწინებელ პირობებში დანახარჯების ეფექტიანი მართვის გზების ძიება; დანახარჯების მართვის კონკრეტულ საკითხებზე საკუთარი თვალსაზრისის ჩამოყალიბებისა და ინტერპრეტაციების უნარი;

2.6. გლობალური ბიზნესის სფეროში მონაწილე სუბიექტების ტექნიკური, ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების კვალიფიციური ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი; გლობალური ბიზნესის მსოფლიო კანონზომიერებათა ათვისების, მათი გენერაციისა და საქართველოს რეალობაში გამოყენების უნარი; გლობალიზაციის პროცესის ეკონომიკური ანალიზისა უნარი და გადაწყვეტილების მიღების უნარი; გლობალური ბიზნესის წარმოებაში კულტურული თავისებურებების როლის შეფასების უნარი; რეგიონული ინტეგრაციული პრობლემების კრიტიკული ანალიზისა და შეფასების უნარი; გლობალური ადამიანური რესურსების საკითხების ანალიზის და მართვისას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების უნარი; საგარეო გაცვლითი ბაზრისა და საერთაშორისო მონეტარული სისტემის გაანალიზების უნარი; გლობალური წარმოების და ლოჯისტიკის დახასიათების და მართვისას გადაწყვეტილების მიღების უნარი; გლობალური ბიზნესის სტრატეგიების დადგენის უნარი.

3. დასკვნის უნარი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ:

3.1. აბსტრაქტული აზროვნება, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დალაგება, კრიტიკული ანალიზი და სინთეზი;
3.2. ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების სწორი დიაგნოსტირება;
3.3. ბიზნესის სფეროში არსებული ძირითადი პრობლემების იდენტიფიკაცია, გამოცალკევება და ერთმანეთთან შედარება.
3.4. შედეგების ფორმულირება და დასკვნების გამოტანა;
3.5. არგუმენტირებული და სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღება და დაცვა;
3.6. განსახორციელებელი ღონისძიებების ორგანიზება;
3.7. სტრატეგიული გადაწყვეტილების კრიტიკული შეფასება; პრობლემების გადაჭრა და ალტერნატივების შეთავაზება.

4. კომუნიკაციის უნარი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შეეძლებათ:

4.1. იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება;

4.2. საკითხის ჩამოყალიბება და მისი წარდგენა როგორც წერილობით, ასევე ზეპირად;

4.3. რეფერატული სახის ნაშრომის მომზადება და მისი პრეზენტაცია;

4.4. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად გამოყენება;

4.5. საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა და დაცვა; ჯგუფში მუშაობა და ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობა.

5. სწავლის უნარი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეეძლება:

5.1. სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა;
5.2. სწავლის პროცესის გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა;
5.3. ცოდნის რეგულარულად განახლება დარგობრივი ლიტერატურის კითხვით;
5.4. სწავლის პროცესის თავისებურებათა ათვისება, მათი გაცნობიერება, დამოუკიდებელი დაგეგმვა.

6. ღირებულებები

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლება:

6.1. ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დამკვიდრებაში წვლილის შეტანა აკადემიური პატიოსნებისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების გათვალისწინებით;
6.2. ეთიკური, სოციალური და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაცნობიერება;
6.3. ღირებულებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება.

VIII. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამით სტუდენტების სწავლებისას, ტრადიციულ ლექციებთან ერთად, გამოიყენება პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობები, პრეზენტაციები და სწავლების სხვა აქტიური მეთოდები. სალექციო მეცადინეობის დანიშნულებაა ძირითადი თემების განხილვა თეორიულ ჭრილში და სტუდენტების უზრუნველყოფა სასწავლო კურსის მეთოდოლოგიური საფუძვლების შესახებ ინფორმაციით, აგრეთვე დასაუფლებელი დისციპლინის ცნებობრივი აპარატით. სალექციო კურსი წარმოადგენს ბაზას თეორიული ცოდნის შესაძენად და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის, რომელიც შემდგომში ღრმავდება სემინარულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე. პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობების დანიშნულებაა სტუდენტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის განმტკიცება, შესასწავლი საკითხის არსისა და მნიშვნელობის სათანადო გააზრება, პრაქტიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობების გამოკვეთა, პრაქტიკული საქმიანობის, კვლევისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ–ჩვევების გამომუშავება.

მეცადინეობები ჩატარდება სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა ტესტირება, პრაქტიკული სავარჯიშოებისა და სიტუაციური ამოცანების (ქეისების) განხილვა, დისკუსია–სემინარებისა და საქმიანი თამაშების ჩატარება, საპრეზენტაციო პროექტების მომზადება, აგრეთვე საკონსულტაციო და დამოუკიდებელი მუშაობა. სწავლება წარიმართება როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური სწავლების მეთოდებით. პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დისკუსიის, დებატების, დემონსტრირების, ინდუქციის, დედუქციის და სხვ. თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია განხორციელდება შესაბამის ორგანიზაციაში პრაქტიკის გავლით.

სწავლა/სწავლების მეთოდები:

- **ვერბალური** - ზეპირსიტყვიერი;
- **წიგნზე მუშაობის** - სახელმძღვანელოდან საშინაო დავალების მომზადება, ამოცანათა კრებულიდან ამოცანების ამოხსნა;
- **დემონსტრირების** - ინფორმაციის ვიზუალური წარდგენა. სასწავლო მასალის დემონსტრირება მოხდება სლაიდებით და დაფის გამოყენებით;
- **პრაქტიკული მეთოდები** - უზრუნველყოფს პრაქტიკულ უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ამოხსნილი იქნება გამჭოლი პრაქტიკული სავარჯიშო, რომელიც დასრულდება ფინანსური ანგარიშგების მომზადებით;
- **ახსნა განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. დაწვრილებით განხილული იქნება კონკრეტული მაგალითი;
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია;
- **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - განხილული იქნება კონკრეტული სიტუაციები (შემთხვევები) და გაკეთდება მათი დეტალური ანალიზი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვასთან დაკავშირებით;

- **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;
- **ჯგუფური** (collaborative) **მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

IX. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით. 100 ქულა არის მაქსიმალური შეფასება. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100–დან 51 ქულის დაგროვება.

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემით.

სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი: ქულათა მაქსიმალური რაოდენობიდან	შეფასება	შეფასების კვალიფიკაცია
91%–ზე მეტი	(A) „ფრიადი“	დადებითი
81 – 90%	(B) „ძალიან კარგი“	დადებითი
71 – 80%	(C) „კარგი“	დადებითი
61 – 70%	(D) „დამაკმაყოფილებელი“	დადებითი
51 – 60%	(E) „საკმარისი“	დადებითი
41 – 50%	(FX) „ვერ ჩააბარა“	უარყოფითი
40% და ნაკლები	(F) „ჩაიჭრა“	უარყოფითი

დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობაა შუალედურ შეფასებებში მინიმუმ 11-21 ქულის მიღება სასწავლო კურსის შესაბამისად, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50% .

X. **ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:** გვარი, სახელი, აკადემიური თანამდებობა, ხარისხი; (ბიოგრაფიული მონაცემები (CV) დანართის სახით თან ერთვის).

XI. **პროგრამის ხელმძღვანელები და კოორდინატორი:** (CV დანართის სახით თან ერთვის).

პროგრამის კოორდინატორი: სრული პროფესორი ირაკლი კოვზანაძე

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები: სრული პროფესორი ირაკლი კოვზანაძე, ასოცირებული პროფესორი დავით ნარმანია, სრული პროფესორი თემურ შენგელია, სრული პროფესორი ელენე ხარაბაძე, სრული პროფესორი ნუგზარ თოდუა, სრული პროფესორი მაია მარგველაშვილი, ასოცირებული პროფესორი ენვერ ლაგვილავა

XII.ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ.

სასწავლო პროცესისათვის გამოიყენება თსუ X კორპუსის აუდიტორიები, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კომპიუტერული ბაზა, ბიბლიოთეკა და ინვენტარი. ინტერნეტში ჩართული და უახლესი პროგრამების პაკეტით აღჭურვილი უახლესი კომპიუტერული კლასი სტუდენტებს მისცემს საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობას.

XIII. **დასაქმების სფეროები** - საწარმოები (ფირმები), ეკონომიკის ნებისმიერი სექტორის სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციული ორგანიზაციები, არაკომერციული ორგანიზაციები და გაერთიანებები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ტრანსეროვნულ კორპორაციები და მათ ფილიალები, სახელმწიფო ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. სწავლების პერიოდში მიღებული ცოდნა საშუალებას მისცემს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრებს წარმატებით იმუშაონ საშუალო და ზედა რგოლის მენეჯერებად, ექსპერტებად და ანალიტიკოსებად. ასევე სწავლა გააგრძელონ დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

XIV. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა:

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის დაფინანსება ხდება ერთიანი საუნივერსიტეტო წესების შესაბამისად.

სასწავლო გეგმა

კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	საგანზე დაშვების წინაპირობა	საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა			დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	ლექტორი	კრედიტების საერთო რაოდენობა	კრედიტების განაწილება სემესტრები			
				სულ	ლექცია	სემინარი/პრაქტიკული				I	II	III	IV
	პროგრამისთვის სავალდებულო კურსები - სულ 30 კრედიტი												
	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ე. ჩოხელი	5	5			
	მარკეტინგ-მენეჯმენტი	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ე. მაღლაკელიძე	5	5			
	ფინანსური მენეჯმენტი	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ხ. ბარბაქაძე	5	5			
	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	მ. მაღრაძე	5	5			
	მმართველობითი აღრიცხვა I	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ი. ჭილაძე ნ. სრესელი	5	5			
	გლობალური ბიზნესი	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	თ. შენგელია	5	5			
	სულ-30 კრედიტი												
	არჩევითი მოდულები (სტუდენტი 7 მოდულიდან ირჩევს ერთს)												

	მოდული: მენეჯმენტი												
	სტატისტიკა მენეჯმენტში	სავალდებულო	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	45	15	30	80	ბ. გაბიძაშვილი	5		5		
	სტრატეგიული მენეჯმენტი	სავალდებულო	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	45	15	30	80	ე. ჩოხელი	5		5		
	რაოდენობრივი ანალიზი მენეჯმენტში	სავალდებულო	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	45	15	30	80	ნ. მიქიაშვილი	5		5		
	საზოგადოებრივი ადმინისტრირება	არჩევითი	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	45	15	30	80	დ. ნარმანია	5		5		
	კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების მართვა	არჩევითი	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	45	15	30	80	ნ. ფარესაშვილი	5				
	რისკ-მენეჯმენტი	სავალდებულო	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	45	15	30	80	დ. ნარმანია	5			5	
	მენეჯმენტი გლობალურ გარემოში	სავალდებულო	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	45	15	30	80	გ. გრიგოლაშვილი	5			5	
	კორპორაციული მენეჯმენტი	სავალდებულო	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	45	15	30	80	გ. წიკლაური	5			5	
	ანტიკრიზისული მენეჯმენტი	სავალდებულო	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	45	15	30	80	გ. ქეშელაშვილი	5			5	
	ლიდერული უნარ-ჩვევები	არჩევითი	მენეჯმენტის თანამედროვე	45	15	30	80	ე. გულუა	5			10	

			კონცეფციები										
	ტექნოლოგიური და ინოვაციური მენეჯმენტი	არჩევითი	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	45	15	30	80	ე. ჩოხელი	5				
	საინვესტიციო პროექტების მართვა	არჩევითი	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	45	15	30	80	ი. კოვზანაძე	5				
	მოდული: ფინანსები და საბანკო საქმე												
	ფინანსური სისტემა და რეგულირება	სავალდებულო	ფინანსური მენეჯმენტი	90	30	60	160	ხ. ბარბაქაძე ნ. კაკაშვილი	10		10		
	საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები	სავალდებულო	ფინანსური მენეჯმენტი	45	15	30	80	ე. ჯგერენაია	5		5		
	საბანკო სისტემის საერთაშორიშო რეგულირება	არჩევითი	ფინანსური მენეჯმენტი	45	15	30	80	ლ.ღუდუშაური	5		5		
	ინვესტიციები და ინვესტიციური პროექტები	არჩევითი	ფინანსური მენეჯმენტი	45	15	30	80	ი. კოვზანაძე	5				
	სადაზღვევო სისტემა და რეგულირება	სავალდებულო	ფინანსური მენეჯმენტი	90	30	60	160	ნ. კაკაშვილი	10			10	
	საგადასახადო და საბაჟო ტექნოლოგიები	სავალდებულო	ფინანსური მენეჯმენტი	45	15	30	80	მ. ჩიკვილაძე	5			5	
	კორპორაციული მართვა საბანკო სისტემაში	სავალდებულო	ფინანსური მენეჯმენტი	45	15	30	80	ი. კოვზანაძე	5			5	
	ფასიანი ქაღალდები და საერთაშორისო	არჩევითი	ფინანსური მენეჯმენტი	90	30	60	160	ლ. ბახტაძე	10			10	

	ფინანსური ბაზრები												
	საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციების რეინჟინერინგი	არჩევითი	ფინანსური მენეჯმენტი	90	30	60	160	ლ. ღუდუშაური	10				
	მოდული: საბუღალტრო აღრიცხვა												
	ფინანსური აღრიცხვა II	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	90	30	60	160	ე. ხარაბაძე	10		10		
	მმართველობითი აღრიცხვა II	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ი. ჭილაძე	5		5		
	აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ასს)	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ე. ხარაბაძე	5		5		
	ბიზნესის სამართლებრივი ეკონომიკური რეგულირება	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	დ. ნარმანია	5				
	რესურსების მართვის სისტემა - ”Exact Globe 2003”	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	90	45	45	160	თ. მუნჯიშვილი	10			10	
	კორპორაციული ანგარიშგება	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	90	30	60	160	ნ. კვატაშიძე	10			10	
	ფინანსური ანალიზი	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ი. ჭილაძე	5			10	
	გადასახადების აღრიცხვა და	არჩევითი		45	15	30	80	ე. ხარაბაძე	5				

	ანგარიშმგებლობა												
	ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს)	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ე. ხარაბაძე	5				
	მოდული: მარკეტინგი												
1	გლობალური მარკეტინგი	სავალდებულო	მარკეტინგ-მენეჯმენტი	90	30	60	160	ნ. თოდუა	10		10		
2	მომხმარებელთა ქცევა II დონე	სავალდებულო	მარკეტინგ-მენეჯმენტი	45	15	30	80	მ. ვეშაგური, ე. მაღლაკელიძე	5		5		
3	სოციალური მარკეტინგი	არჩევითი	მარკეტინგ-მენეჯმენტი	45	15	30	80	ჩ. ჯაში	5		5		
	ელექტრონული კომერცია	არჩევითი	მარკეტინგ-მენეჯმენტი	45	15	30	80	რ. აბულაძე	5				
4	მარკეტინგული კვლევები	სავალდებულო	მარკეტინგ-მენეჯმენტი	90	30	60	160	ნ. თოდუა	10			10	
5	ბრენდინგი	სავალდებულო	მარკეტინგ-მენეჯმენტი	45	15	30	80	მ. ვეშაგური	5			5	
6	მომსახურების მარკეტინგი	სავალდებულო	მარკეტინგ-მენეჯმენტი	45	15	30	80	მ. ალანია	5			5	
7	საცალო ვაჭრობა	არჩევითი	მარკეტინგ-მენეჯმენტი	45	15	30	80	მ. კობალავა	5			10	
	B2B მარკეტინგი	არჩევითი	მარკეტინგ-	45	15	30	80	ჩ. ჯაში	5				

			მენეჯმენტი										
	სურსათის მარკეტინგი	არჩევითი	მარკეტინგ-მენეჯმენტი	45	15	30	80	ნ. თოდუა ე. სარჯველაძე	5				
	ინფორმაციული ტექნოლოგიები მარკეტინგში	არჩევითი	მარკეტინგ-მენეჯმენტი	45	15	30	80	მ. მაღრაძე მ. ტიკიშვილი	5				
	მოდული: საერთაშორისო ბიზნესი												
	ტრანსნაციონალური კომპანიების სტრატეგიები	სავალდებულო	წინაპირობის წინაშე	90	30	60	160	დ. სიხარულიძე	10		10		
	საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ე. ლეკაშვილი	5		5		
	საერთაშორისო ბიზნესის უსაფრთხოება	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ი. მესხია	5		5		
	საერთაშორისო ბიზნესის ეთიკა	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	მ. ქირთბაია	5				
	საერთაშორისო ფინანსები	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ი. მესხია	5			5	
	საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკა	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ს. გელაშვილი	5			5	
	საერთაშორისო	სავალდებულო	წინაპირობის	45	15	30	80	ი. მესხია	5			5	

	ვაჭრობა		გარეშე										
	ორგანიზაციული განვითარება	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ლ. ქადაგიშვილი	5			5	
	საერთაშორისო ბიზნესის რეგულირება	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	90	30	60	160	რ. ფუტკარაძე	10			10	
	საქმიანი თამაშები	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	90	30	60	160	ჟ. თოლორდავა	10				
	მოდული: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი												
	სტატისტიკური ანალიზი ტურიზმში	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ნ. აბესაძე	5		5		
	საერთაშორისო ტურიზმი	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ე. ლეკაშვილი	5		5		
	ტურიზმის მდგრადი განვითარება	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	მ. მარგველაშვილი	5		5		
	ალტერნატიული ტურიზმი	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	მ. მარგველაშვილი	5		5		
	ტურიზმის კრეატიულობა და განვითარება	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ნ. პაპაჩაშვილი	5				
	მარკეტინგი მოგზაურობასა და ტურიზმში	სავალდებულო	მარკეტინგ-მენეჯმენტი	45	15	30	80	მ. მარგველაშვილი	5			5	

	საერთაშორისო მასპინძლობის მენეჯმენტი	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	ე. ლეკაშვილი	5			5	
	ტურიზმის პოლიტიკის ანალიზი	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	მ. მარგველაშვილი	5			5	
	კვლევის დაგეგმვა ტურიზმსა და მასპინძლობაში	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	მ. მარგველაშვილი	5			5	
	კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	მ. მარგველაშვილი	5			10	
	ტურისტული დანიშნულების ადგილების მენეჯმენტი	არჩევითი	წინაპირობის გარეშე	45	15	30	80	მ. მარგველაშვილი	5				
	ადამიანური რესურსების განვითარება ტურიზმში	არჩევითი		45	15	30	80	მ. მარგველაშვილი	5				
	მოდული: ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი												
	ინფორმაციული მენეჯმენტი	სავალდებულო	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	90	30	60	160	ე. ლაგვილავა	10		10		
	კლიენტ-სერვერული ტექნოლოგიები	სავალდებულო	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	45	15	30	80	ზ. მუნჯიშვილი	5		5		

	ფირმის მონაცემების ელექტრონული დამუშავება	არჩევითი	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	45	15	30	80	მ. მაღრაძე	5				
	ინფორმაციული ტექნოლოგიები საგადასახადო საქმიანობის მართვაში	არჩევითი	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	45	15	30	80	რ. სეთურიძე	5		5		
	საბანკო საინფორმაციო სისტემები	სავალდებულო	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	45	15	30	80	მ. მაღრაძე	5			5	
	ინფორმაციული ტექნოლოგიები მენეჯმენტში	სავალდებულო	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	45	15	30	80	ე. ლაგვილავა	5			5	
	ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური საზღვრის მართვაში	სავალდებულო	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	45	15	30	80	რ. სეთურიძე	5			5	
	ინფორმაციის დაცვისა და ინფორმაციული უსაფრთხოების ტექნოლოგიები	სავალდებულო	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	45	15	30	80	დ. სიჭინავა	5			5	
	ინფორმაციული ტექნოლოგიები პროექტების მართვაში	არჩევითი	საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი	45	15	30	80	მ. ტიკიშვილი რ. სეთურიძე	5			10	
	ქსელური ეკონომიკა	არჩევითი	საინფორმაციო	45	15	30	80	ე. ლაგვილავა	5				

			სისტემების მენეჯმენტი										
	WEB ტექნოლოგიები	არჩევითი	კლიენტ-სერვერული ტექნოლოგიები	45	15	30	80	ზ. მუნჯიშვილი	5				
კვლევითი ნაშრომი													
	კვლევითი ნაშრომი ნაშრომი (სამაგისტრო ნაშრომის ნაწილი)	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე								10		
პროფესიული პრაქტიკა													
	პროფესიული პრაქტიკა	სავალდებულო	მოდულის 10 კრედიტი										10
სამაგისტრო ნაშრომი													
	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო	ყველა სასწავლო კურსი და კვლევითი ნაშრომი										20
	პროგრამისთვის სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი **მოდულისთვის სავალდებულო კურსები - სულ 35 კრედიტი** **არჩევითი კურსები - 15 კრედიტი (თითოეული მოდულისთვის)** **კვლევითი ნაშრომი (სამაგისტრო ნაშრომის ნაწილი) – 10 კრედიტი** **პროფესიული პრაქტიკა - 10 კრედიტი** **სამაგისტრო ნაშრომი - 20 კრედიტი**												

	სულ 120 კრედიტი